პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 106 (18948) კვირა, 6 მაისი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

მეგობრულ ვითარებაში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 4 მაისს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის პატივსაცემად.

ვ. იარუზელსკისთან ერთად იყვნენ მისი თანმხლები პოლონელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ამხანაგები კ. უ. ჩერნენკო, ჰ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, გ. ვ. რომანოვი, მ. ს. სოლომენცევი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. პონომარიოვი, ვ. მ. ჩებრიკოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. უ. ჩერნენკომ სადილზე სიტყვა წარმოთქვა.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო იარუზელსკი!

პატივცემულო ამხანაგებო, მეგობრებო!

ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, ერთხელ კიდევ გულითადად მივესალმო ჩვენთან სამუშაო ვიზიტად ჩამოსულ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ...

ამხანაგ ვ. იარუზელსკის სიტყვა

(დასასრული მე-2 გვ.)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „კინოფილმების იდეურ-მხატვრული დონის შემდგომი ამაღლებისა და კინემატოგრაფიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ".

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კინემატოგრაფიას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოციალისტური მხატვრული კულტურის განვითარებაში, აქტიურად უწყობს ხელს ადამიანთა იდეურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. ...

(დასასრული მე-2 გვ.)

მამაცობისა და დიდების მონუმენტი

სურათზე: პეტრე ბაგრატიონის ძეგლი თბილისში.

ჯ. ლომაძის ფოტო.

წამიც, და გაავფთრებულ ბრძოლაში მტერს ეკვეთება ხმალამოწვდილი მხედარი — ასე წარმოგვიდგება ორთაჭალის მიდროელექტროსადგურის წინ მოედანზე აღმართული ქართველი ხალხის სახელოვანი შვილისა და რუსეთის გამოჩენილი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონის ბრინჯაოს ძეგლი, რომელიც ამ მხედართმთავრის მშობლიურ მიწაზე დაიდგა.

პ. ბაგრატიონმა, რომელიც ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა სამხედრო გახდა, ...

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ერთობლივ დოკუმენტს

4 მაისს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების 2000 წლამდე პერიოდის გრძელვადიან პროგრამას".

... (საქტაგი).

ქვეყანაში სამოგზაუროდ

5 მაისს მოსკოვიდან რიაზანში გაემგზავრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი. ...

იმავე დღეს ვ. იარუზელსკი რიაზანში ჩავიდა.

• • •

ნაშუადღევს ვ. იარუზელსკი რიაზანიდან სამშობლოს გაემგზავრა. ... (საქტაგი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

მეგობრულ ვითარებაში

(დასასრული)

რომელიც წევრი მხარე სიძნელეებს აწყდება.

ფასდაუდებელია საბჭოთა კავშირის დახმარება. სამუდამოდ დაგვამახსოვრდება ჩვენი საბჭოთა მეგობრების გაგება და ნდობა, მატერიალური დახმარება და პოლიტიკური მხარდაჭერა.

რომ ბატონი არა ვართ იმპერიალისტური საფრთხის, კერძოდ, დასავლეთ გერმანიის რევანშისტული და მილიტარისტული ძალების მიერ შექმნილი საფრთხის წინაშე. კარგად არის ცნობილი ჩვენი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლა პირველი, მეორე და მესამე რაი-

ჯილდოს გადაცემა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. უ. ჩერნენკომ 4 მაისს კრემლში ლენინის ორდენი გადასცა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. იარუზელსკის.

ჯილდოს გადაცემის დროს დარბაზში იყვნენ ამხანაგები ჰ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, გ. ვ. რომანოვი, მ. ს. სოლომენცევი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. პონომარიოვი, ვ. მ. ჩებრიკოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირები. დაესწრნენ ვ. იარუზელსკის თანმხლები პოლონელი ამხანაგები.

დაჯილდოების ცერემონიალზე გამოვიდა ამხ. კ. უ. ჩერნენკო.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლა

ამხანაგ ვ. იარუზელსკის გამოსვლა

ახლა თქვენ მონაწილეობას მიიღებთ რიაზანში გამართულ ზეიმში, სადაც გაიხსნება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამებრძოლთა ძმობის ძეგლი. იქ, რიაზანის მიწა-

სძლეთ ჩაგვეფუშათ ანტისოციალისტური ძალებისა და მათი იმპერიალისტი მფარველების მზაკვრული გეგმები, თავიდან აგვეცილებინათ ეროვნული კატასტროფა. დარწმუნებული ვართ, რომ პოლ-

რის. სხვადასხვაგვარი წარსული ჰქონდათ ჩვენი თანამეგობრობის ქვეყნებს, განსხვავებული იყო მათი ისტორიის გზები, მაგრამ ჩვენ გვაქვს საერთო მომავალი და ერ-

რთობას, მომავალს, მისი სამართლიანი საზღვრების შეუვალობას უზრუნველყოფს მჭიდრო და ურღვევი კავშირი და თანამშრომლობა დიად საბჭოთა სახელმწიფოსთან.

ლხების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ.

(საკდესი).

განკუთვნილია ბავშვებისათვის

თბილისში, სამედიცინო ტექნიკის სახლში გაიხსნა საბავშვო კვების ნაწარმის გამოფენა. აქ წარმოდგენილია საბავშვო კვების ნაწარმის ნიმუშები, რომელსაც უშვებენ რესპუბლიკის მრეწველობის კვების, ხორცისა და რძის გადამამუშავებელი დარგები. ეს არის ხილისა და ბოსტნეულის პიურე, წვენები, სპეციალურად დამზადებული და გაფორმებული მრავალფეროვანი რძის პროდუქტები, საკონდიტრო ნაწარმი.

გამოფენა დაათვალიერა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

— ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში შემოტანილი, აგრეთვე ჩვენში წარმოებული საბავშვო კვების პროდუქტების ასორტიმენტი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, გაუმჯობესდა მათი ხარისხი. გაფართოვდა სასკოლო ბუფეტების ქსელი. გაუმჯობესდა სკოლამდელთა დაწესებულებებისა და საავადმყოფოების კვების ბლოკების მდგომარეობა.

მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგიდან საექსპლოატაციოდ გადაეცა სასკოლო კვების კომბინატები თბილისში, სოხუმში, გურჯაანში, სპეციალიზებული სასადილოები მცხეთაში, ცხაკაიაში, ზუგდიდში.

ბევრი ნაკლია საბავშვო კვების პროდუქტებით ვაჭრობაშიც. სპეციალიზებული საბავშვო მაღაზიებისა და საბავშვო კვების კუთხეების ქსელი აშკარად არ არის საკმარისი. მაგალითად, თბილისში სულ ოთხი სპეციალიზებული სასურსათო მაღაზიაა, მაშინ როცა ასეთი მაღაზია ყოველ რაიონში უნდა იყოს. პროდუქციის ასორტიმენტი საკმარისი არ არის და ძირითადად 4-5 დასახელებით შემოიფარგლება, მაშინ როცა საკავშირო ასორტიმენტის მინიმუმი 30-40 დასახელებას უახლოვდება.

შექმნილი ვითარების მიზეზების გაანალიზებისას ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ საბავშვო კვების საკითხები ებება მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც არ აერთიანებთ ერთიანი მიზანი და ამოცანა. მათ საქმიანობაში არ

ზესტაფონელ მევენახეთა მიჯნები

ფართო წარმომადგენლობითი აუდიტორია ჰქონდა ზესტაფონის რაიონში პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებას, რომელმაც განიხილა მევენახეობის განვითარების პრობლემები.

ამ პრობლემების მასშტაბურობაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ საქმიან სჯა-ბაასში მონაწილეობის მისაღებად აქ ჩამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. დ. მგელაძე, „საქღვინმრეწველის" სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ი. ლოლაძე და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

რივე სექტორის წილად ერთი მეოთხედი მოდის და ისიც ცალკეული მოწინავე მეურნეობების ხარჯზე.

საზოგადოებრივ სექტორში ყურძნის მოსავლიანობის შემცირების ტენდენცია შეინიშნება ბოლო წლებში. მეათე ხუთწლედში რაიონის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ყურძნის საშუალო წლიური წარმოება 8.636 ტონას შეადგენდა. მეთერთმეტე ხუთწლედში ეს ციფრი 7.877 ტონამდე შემცირდა, რაც სერიოზული შეშფოთების საფუძველს იძლევა.

აქტივის კრების მონაწილეებმა გულდასმით გაანალიზეს თავიანთი გამოცდილება და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ წლებ[illegible]

ი. ნიჟარაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საბრძოლო ძმობის ძეგლის გახსნა

რიაზანი, 5 მაისი. (საქინფორმის საკუთ. კორ.). დიადი გამარჯვების დღესასწაულის წინ აქ საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საბრძოლო ძმობის ძეგლი. აქედან, ოკის ნაპირებიდან, ორმოცზე მეტი წლის წინათ დაიწყო ტ. კოსციუშკოს სახელობის პოლონეთის პირველი ქვეითი დივიზიის საბრძოლო გზა. მან საფუძველი ჩაუყარა პოლონეთის ჯარს და საბჭოთა არმიის ნაწილებთან ერთად ბერლინამდე გაიარა ომის ქარცეცხლიანი გზებით. ფაშისტ დამპყრობლებთან გმირულ ბრძოლებში იწრთობოდა და მტკიცდებოდა ორი ხალხის ურღვევი მეგობრობა.

დღეს ამ ღირსშესანიშნავ მოვლენაში მონაწილეობის მისაღებად რუსეთის ძველ ქალაქში ჩამოვიდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავ-...

წინ წარმოუდგათ ოც მეტრზე მეტი სიმაღლის არქიტექტურულ-სკულპტურული კომპოზიცია. გრანიტითა და ლითონით შესრულებული ეს კომპოზიცია ნათლად გადმოსცემს საბჭოთა და პოლონელი მეომრების საბრძოლო შემართების დინამიკას, რომლებიც მხარდამხარ მიიწევენ წინ საერთო მტერზე სამკვდრო-სასიცოცხლო ერთიანობის მისატანად, განასახიერებს ჩვენი ხალხების ურღვევ ერთიანობას.

ჟღერს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. მოედანზე გაისმის საარტილერიო სალუტის ხალვების ხმა.

მიტინგზე გამოვიდნენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ვეტერანი, პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილე ვ. ვ. ხომენკო, რიაზანის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. პ. პოლიაკოვა, სრულიად საკავშირო ალკკ რიაზანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ...

ამ ამაღლევებელ წუთებში დიდი კმაყოფილებით მოგესალმებით და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ, ძვირფასო პოლონელო მეგობრებო, მოგესალმებით ქალაქ რიაზანის ოლქის ყველა მშრომელის მგზნებარე ინტერნაციონალისტის, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის ურყევი ქომაგის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს სახელით.

ძეგლის გახსნა არა მარტო გამოხატავს ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ ჩვენი ხალხების ერთობლივი ბრძოლის წმიდათაწმიდა ხსოვნას, არამედ ნათელი დადასტურებაც არის, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა, რომელიც წლითიწლობით ვითარდება.

სიხარულით მოგესალმებით დღეს ჩვენს დღესასწაულზე ძვირფას სტუმარს — სახალხო პო-...

გენერლებს და ვეტერანებს, რომლებიც აქ იმყოფებიან.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო პოლონელო მეგობრებო, გისურვოთ ჯანმრთელობა, ახალი წარმატებანი სოციალიზმის აშენებასა და დაცვაში, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საბრძოლო მეგობრობის, ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ძმური ურთიერთობის განმტკიცებაში!

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებამ, რომელიც საბჭოთა ხალხმა პოლონელ თანამებრძოლებთან, ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების ხალხებთან, წინააღმდეგობის მოძრაობასთან ერთად მოიპოვა, მშვიდობისა და პროგრესის გზა გაკვალა. სოციალიზმი მსოფლიო სისტემად იქცა. პოლონელმა ხალხმაც სოციალისტური განვითარების გზა აირჩია. ახლა ძმურ სოციალისტურ თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნები სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით მსოფლიოს ყველაზე დინამიკურ სახელმწიფოთა ჯგუფად იქცნენ.

...

მშრომელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა და პოლონელ ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებაში.

შემდეგ დამსწრეთა ტაშის გრიალში ამხანაგები ვ. იარუზელსკი და ღ. თ. უსტინოვი ჭრიან ალისფერ ლენტს. შეკრებილთ თვალ-...

ხალხების და მათი არმიების მტკიცე საბრძოლო მეგობრობის ჩასახვა.

დღეს ჩვენ თავი მოვიყარეთ ამ მონუმენტის გახსნაზე, რომელიც საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურღვევი საბრძოლო ძმობის სიმბოლოა.

...რის დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა აქვს მოხვეჭილი.

ჩვენ გულითადად მივესალმებით აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრს ჯავშნის გენერალ ფლორიან სივიცკის, პოლონეთის ჯარის სხვა წარმომად-...

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. იარუზელსკიმ, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

სიხარულითა და დიდი მღელვარებით ჩამოვედით თქვენს — და ნება მიბოძეთ, ვთქვა აგრეთვე ჩვენს ქალაქ რიაზანში, თქვა მან. ჩემთვის და აქ მყოფი ჩემი პო-...

საკავშირო კონკურსის გამარჯვებულნი

საუკეთესო მასობრივი მუშაობისათვის

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ მ. ი. ულიანოვის სახელობის პრემიები მიანიჭა საქალაქო, რაიონულ, გაერთიანებულ და მრავალტირაჟიან გაზეთებში მასობრივი მუშაობის საუკეთესო დაყენებისათვის.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პირველი პრემიები და ...

...რაიონი „ზა კომუნისტიჩესკი ტრუდის" (ტომსკის მანომეტრების ქარხანა) რედაქციების კოლექტივებს.

...

...ქიანი „მეტალურგის" (უსტ-კამე-...) ... რედაქციების კოლექტივებს. (საქინფორმი).

შეჯიბრების გაშუქებაში მოპოვებული წარმატებებისათვის

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ შეაჯამა 1983 წელს პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი სოციალისტური შეჯიბრების საუკეთესო გაშუქებისათვის საკავშირო კონკურსის შედეგები.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ფულადი პრემიებითა ...

...პატიო დიპლომი მიენიჭა ჟურნალ „კომუნისტ უკრაინის" კოლექტივს.

ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების მიერ დაწესებული სპეციალური პრემიებით და ჟურნალ „ჟურნალისტის" საპატიო დიპლომებით აღინიშნა ბევრი შემოქმედებითი კო-...

...

სამხედრო სამსახურის ზღურბლზე

გასაწვევი ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეკრება

საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ თბილისში ახალგაზრდები, რომლებიც მალე სამხედრო ფორმას ჩაიცვამენ. აქ 4 მაისს გაიმართა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გასაწვევი ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეკრება.

შეკრების დაწყების წინ მომავალმა მეომრებმა და ქვეყნის უმაღლესი სამხედრო სასწავლებლების აბიტურიენტებმა გვირგვი-...

...

საქდესის განცხადება

1984 წლის 28 აპრილიდან მოყოლებული ჩინეთის ჯარებმა რამდენიმე უბანზე დაარღვიეს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვარი, შეიჭრნენ მის ტერიტორიაზე და ხელთ იგდეს მთელი რიგი მაღლობები.

ჩინეთის ახლანდელი სამხედრო პროვოკაციები ვიეტნამის წინააღმდეგ ყველაზე ფართო ხასიათისაა 1979 წლის თებერვალში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემდეგ.

ჩინეთის ხელისუფალნი ამტკიცებენ, თითქოს ისინი მხოლოდ „უკუაგდებენ" ვიეტნამის ჯარის ნაწილებს, რომლებიც თავს ესხმიან ჩინეთის საზღვარს. მაგრამ ვინ დაიჯერებს, რომ ქვეყანა, რომლის მოსახლეობა 60 მილი-ონს შეადგენს, გაბედავს საომარი შეტაკების დაწყებას სახელმწიფოსთან, რომლის მოსახლეობამაც მილიარდს გადააჭარბა? ვის შეუძლია წარმოიდგინოს, რომ იმპერიალისტურ აგრესორთა წინააღმდეგ თითქმის ორმოცი წლის ომით გაწამებული ქვეყანა საომრად გამოიწვევს სახელმწიფოს, რომელსაც ზურგს უმაგრებენ ოთხმილიონიანი არმია და პრაქტიკულად შეუზღუდავი რეზერვები?

სამაგიეროდ ყველას ახსოვს, რომ თვით ჩინეთის ხელისუფალნი, რომლებმაც მოაწყვეს ვიეტნამზე თავდასხმა 1979 წელს, იქადნებოდნენ, „მეორედ ვასწავლით ჭკუას" ვიეტნამის სოციალ-ისტურ რესპუბლიკას. ჩინეთის ხელმძღვანელობა საერთოდ არ მალავს, რომ არ მოსწონს პოლიტიკური არჩევანი, რომელიც გააკეთეს ვიეტნამის სოციალისტურმა რესპუბლიკამ, ინდოჩინეთის სხვა ქვეყნებმა, არ ეპიტნავება საგარეოპოლიტიკური კურსი, რომელსაც ისინი ადგანან.

სწორედ ამიტომ, და არა რაიმე სხვა მიზეზით — ჩინეთის ხელისუფალნი სისტემატურად ცდილობენ გამოიყენონ ვიეტნამისა და ინდოჩინეთის სხვა ქვეყნების მიმართ პოლიტიკური და ეკონომიკური ძალდატანების მეთოდები, მიმართავენ უხეშ მუქარას იმ იმედით, რომ შეაცვლევინებენ კურსს. ახლა ისინი კვლავ არ ...

...

7 მაისი რადიოს დღე

მართვის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტი

...



სურათზე: თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის სატელეგრაფო კავშირის ხარისხის კონტროლის პულტი, რომელსაც მართავს მორიგე ცვლა ინჟინრის ჯულიეტა ქურდაძის ხელმძღვანელობით.

ფ. კრიმხაძის ფოტო.

...

შ. ონიანი.

...

საპატიო წოდების მინიჭება

...

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატები

...

მათ მიენიჭათ პრემია ზედაპირული პიერ-რკალური ჭრის სპეციალიზებული ტექნოლოგიის, სხმულის საბოლოო დამუშავების პროცესის სრულყოფის მიზნით მოწყობილობისა და მასალების შექმნა-დანერგვისათვის.

პიერ-რკალური ჭრის მეთოდი შეიმუშავა საბჭოთა კავშირის სამსხმელო მანქანათმშენებლობის, სამსხმელო ტექნოლოგიისა და სამსხმელო წარმოების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების კოლექტი-...

...მეჩვილიშვილი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დ. ი. ივანოვსკის სახელობის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ჯ. მებლიძე, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და ინფორმაციის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ვ. ა. რუხაძე.

(საქინფორმი).

გაიხსნა ახალი ავიახაზი თბილისი-ბერლინი

ცისფერი მერცხალი

თბილისის აეროპორტში ლამაზი, ცისფერი ლაინერი დგას.

რამდენიმე წუთიც და ეკიპაჟი მისთვის განკუთვნილ სალონს დაიკავებს.

ჯერ კიდევ დროა — ლაინერი თბილისის დროით 11 საათსა და 15 წუთზე უნდა აფრინდეს.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციას უკვე აქვს საერთაშორისო ფრენის საკმაო გამოცდილება. რეისით — სუ-805 კი ახალი საჰაერო ხიდი გაიდება თბილისსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქს შორის (რეისები რეგულარული იქნება — ყოველ შაბათს, 10 თვის განმავლობაში), ტუ-154 ავიალაინერი ის პირველი მერცხალია, ახალ ავიატრასას რომ გადასერავს.

თვითმფრინავს კიდევ ერთხელ ამოწმებენ...

ვსარგებლობთ შემთხვევით და აქვე, უშუალოდ აეროვაგზლის ბაქანზე სახელდახელოდ ვინიშნავთ მთავარი სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს უფროსის **ალექსანდრე ზედგინიძის** ნათქვამიდან:

— ჩვენში 1981 წელს განხორციელდა პირველი საერთაშორისო რეისი. ეს გახლდათ საერთო ექსპლოატაციის ხაზი თბილისი-ვარნა-თბილისი, რომელიც ბულგარეთის ავიაკომპანია „ბალკანთან" ერთად გახსნა ჩვენმა აეროფლოტმა და რომელზეც ტუ-134 მარკის ავიალაინერები დაფრინავდნენ თავდაპირველად. დღეს კი ამ ავიახაზს უფრო კომფორტელი ტუ-154 ლაინერები ემსახურებიან და ბოლო სამი წლის მანძილზე 20 ათასზე მეტი მგზავრია გადაყვანილი.

შარშან მაისში გაიხსნა კიდევ ერთი ახალი ავიახაზი — თბილისი-დრეზდენი, რომლითაც უკვე ექვსი ათასზე მეტმა ტურისტმა ისარგებლა.

თბილისი-ბერლინი კი, როგორც ხედავთ, რიგით მესამე საერთაშორისო ავიახაზია. მალე, 21 მაისს, გაიხსნება კიდევ ერთი ახალი ხაზი თბილისი-პრაღა. ასე რომ, მომავალს ნამდვილი საფრენოსნო ამინდი უდგას.

...უკვე თვითმფრინავის სალონში ვართ. ფუსფუსებენ ჟურნალისტები, ჩხაკუნებენ ფოტოაპარატები...

— გულმოდგინედ ვემზადებოდით საერთაშორისო რეისებისათვის, — გვეუბნება ხომალდის მეთაური **თამაზ ტორონჯაძე**, — და საამისოდ მზადების სპეციალური კურსებიც გავიარეთ. ეკიპაჟი, როგორც ხედავთ, ხალისიანად არის. საღამოს კვლავ თბილისში ვიქნებით და...

ეკიპაჟი, მართლაც რომ გამოცდილია. თავად მეთაური პირველი კლასის მფრინავია და 7.000 საათზე მეტი დაუყვია ჰაერში. ასევე მრავალწლიანი მფრინავები არიან ხომალდის მეორე პილოტი ელგუჯა დვალი, შტურმანი მიხეილ სხირტლაძე და ბორტინჟინერი ვლადიმერ ნავდარაშვილი.

მგზავრები მხიარულ გუნებაზე არიან. უმრავლესობას გერმანელი ტურისტები წარმოადგენენ.

...გამარჯობათ, პატივცემულო მგზავრებო! საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სახელით თქვენ მოგესალმებათ ხომალდის მეთაური და ეკიპაჟი. დღეს პირველად ხორციელდება ავიარეისი თბილისი-ბერლინი. ფრენის ხანგრძლივობა 3 საათი და 40 წუთია, სიმაღლე — 11.100 მეტრი, სიჩქარე — 950 კილომეტრი საათში. ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ ჩვენთან ერთად. — ბორტგამყოლის, თბილისის ავიასაწარმოს კურსდამთავრებულის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროგამომთვლელი მანქანების ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის ნანა ნადირაშვილის მშვიდი, მკაფიო ხმა უფრო მხიარულ გუნებაზე აყენებს მგზავრებს.

მშვიდობიანი ცა, ცისფერო მერცხალო!

ლ. გახარია.

სურათზე: შტურმანი მიხეილ სხირტლაძე, ხომალდის მეთაური თამაზ ტორონჯაძე, მეორე პილოტი ელგუჯა დვალი, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე ანთიმოზ გელაშვილი და ბორტინჟინერი ვლადიმერ ნავდარაშვილი (მარცხნიდან) თბილისი-ბერლინის მარშრუტით გაფრენის წინ.

ბ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გახსენება

შეხვედრა ომის ვეტერანებთან

მახარაძე. (საქ. კორ.). ომის ვეტერანთა საბჭოს და საბრძოლო დიდების რესპუბლიკური მუზეუმის თაოსნობით მოეწყო დიდი სამამულო ომის ვეტერან ქალებთან შეხვედრა, რომელიც გაიმართა მუზეუმის საქტო დარბაზში. შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვეს მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომელმა იამზე კოპლატაძემ, პედაგოგმა მიხეილ რეხაძემ, მუზეუმის დირექტორმა გივი ხობლოვაძემ, № 1 ჩაის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა მაყვალა ჭანტურიშვილმა. მოგონებანი დასწრეთ გაუზიარეს ვეტერანებმა თამარ ბაზარაძემ, ქეთევან არობელიძემ, ლილი ვასაძემ, რომლებმაც თავიანთ საბრძოლო გზებზე ილაპარაკეს.

შეხვედრის დასასრულს ომის ვეტერან ქალებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

პრემიერა

„დღესასწაული ჩვენს სახლებში"

ჩოხატაურის სახალხო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ყირგიზი დრამატურგის მ. ბაიჯიევის პიესა „დღესასწაული ჩვენს სახლებში".

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა, რეჟისორმა ი. არობელიძემ, მუსიკალურად გააფორმა ვ. ბუტურიშვილმა, მხატვარია ახალგაზრდა მხატვარი დ. უდრელიძე.

როლების კარგი შესრულებისათვის მაყურებელთა მოწონება ხვდათ წილად საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ვ. მგალაძეს, მსახიობს მ. გიორგაძეს, საკავშირო ფესტივალის ლაურეატებს მ. ცინცაძეს, ვ. ბუტურიშვილსა და სხვებს.

დ. გურგენიძე.

სიახლენი

ქალაქს შეემატა

წყალტუბო. (საქ. კორ.). ქალაქის ცენტრი დაამშვენა კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძის ახალმა შენობამ რომელიც უკვე ჩადგა ადგილობრივი მოსახლეობისა და ავადმყოფ-დამსვენებელთა სამსახურში.

შენობის პირველ სართულზე მოთავსებულია ჟურნალ-გაზეთებისა და წერილობითი კორესპონდენციების საამქროები, აქვე იმუშავებენ ფოსტალიონები. მეორე სართული უკავია საფოსტო-სატელეფონო დარბაზს, სადაც სოლიდები ფულად გზავნილებთა მიღება-განაღდება, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო შეკვეთილი წერილებისა და ბანდეროლების მიღება-გაცემა და სხვ. ამავე სართულზე საერთაშორისო და საქალაქთაშორისო სატელეფონო პუნქტი, სადაც წინასწარი შეკვეთით შესაძლებელია ტელეფონით ქვეყნის ნებისმიერ ქალაქს დაუკავშირდეთ.

რეკონსტრუქციის შედეგად ორჯერ და მეტად გაფართოვდა სამანათო საამქრო, ცალკე ოთახი დაეთმო ამანათების მიღებას. მომავალი წლიდან დაიწყება ახალი 3 ათასნომრიანი ავტომატური [illegible]

5 მაისი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

საქტასი იუწყება

თანამშრომლობის ნაყოფი

> დღეს 14 წელი უსრულდება საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას.

ჩრდილოეთ მორავიის ქალაქ ვსეტინის მანქანათსაშენებელი ქარხნის „ზბროიოვკას" ნაწარმი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგზავნება. აქ დამზადებულ საქსოვ დაზგებს „ზბროიოვკას" ჩვენი პლანეტის თითქმის ყველა კონტინენტზე, შორეულ ქვეყნებშიც შეხვდებით. აქ უკვე გასაგზავნად გამზადებულ კონტეინერებზე წარწერილ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის მისამართებს შორის ხშირად ნახავთ მოსკოვის, კიევის, კაუნასისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ფაბრიკების დასახელებასაც.

ეს არც არის გასაკვირი: ჩეხოსლოვაკიის ამ ქარხნის პროდუქციის ნახევარზე მეტი გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირისათვის. ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში დამზადებული საქსოვი მანქანები ჩვენი ქვეყნის 13 რესპუბლიკის ფაბრიკებში საიმედოდ მუშაობენ და ყოველწლიურად 250 მილიონ მეტრ ქსოვილს უშვებენ.

საქსოვი დაზგა „მეტაპი" კი აქ სიახლეს წარმოადგენს და იგი ჩეხოსლოვაკიელი კონსტრუქტორებისა და ინჟინრების გულმოდგინე ძიების ნაყოფია. მასზე დამზადებული ქსოვილი ელასტიკური და ლამაზი თანაც გამძლეა. ამ დაზგამ სერიული გამოშვების დაწყებამდე ყოველმხრივი გამოცდა გაიარა საბჭოთა კავშირში ივანოვოსა და კაუნასის საფეიქრო საწარმოებში. ორი წელია, რაც „მეტაპებს" საბჭოთა კავშირს აწვდიან, დღეს კი „ზბროიოვკას" საამქროებში საბჭოთა კავშირის ახალ მსხვილ შეკვეთაზე მუშაობენ. ჩეხოსლოვაკია პირველად მიიღებს მონაწილეობას ბელორუსიის ქალაქ გროდნოს საქსოვი ფაბრიკის აღჭურვაში. რეკონსტრუქციის შედეგად ბელორუსიის ფაბრიკაში გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი, მნიშვნელოვნად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება.

ორი მოძმე ქვეყნის თანამშრომლობის გაღრმავებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საფეიქრო მანქანათმშენებლობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი გეგმების კოორდინაციის ერთობლივი ცენტრის შექმნა. უკვე თითქმის 25 წელია საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერები ნაყოფიერად თანამშრომლობენ.

მანქანათმშენებლები განსაკუთრებით გრძნობენ თანამედროვე განვითარების სწრაფ ტემპს. ამიტომ ჩეხოსლოვაკიელი მანქანათმშენებლები განუწყვეტლივ ზრუნავენ იმისათვის, რომ ჩეხოსლოვაკიურ დაზგებზე გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონელი ხარისხითაც და ასორტიმენტითაც აკმაყოფილებდეს საბჭოთა ადამიანების გაზრდილ მოთხოვნებს.

გამოუცხადებელი ომი

მანაგუა. რეიგანის ადმინისტრაცია კვლავ ცდილობს კოსტა-რიკის ტერიტორია — ნიკარაგუის წინააღმდეგ აგრესიის პლაცდარმად გადააქციოს.

ნიკარაგუის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხოსე ლეონ ტალავერამ აქ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ პენტაგონი აპირებს უახლოეს ხანს კოსტა-რიკაში გაგზავნოს 800-ზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. მან აღნიშნა, თუ რაოდენ საშიში ხასიათი აქვს სან-ხოსეში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ამასწინანდელ განცხადებას, რომელიც კოსტა-რიკას შეჰპირდა, რომ სამხედრო დახმარებას გაუწევს ეგრეთ წოდებული „ნიკარაგუის აგრესიის" მოგერიებაში.

ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გადააჯგუფა და შეაიარაღა ერთ-ერთი კონტრრევოლუციური ბანდა, რომელიც დაბანაკებულია ნიკარაგუის სასაზღვრო დაბის პენია-ბლანკასიდან 3 კილომეტრზე.

ფოტოფაქტი

● **სალვადორი**

სალვადორში გრძელდება „სიკვდილის ესკადრონების" თარეში. სან-სალვადორის სარქიეპისკოპოსოსთან არსებული იურიდიული დახმარების ბიუროს მონაცემებით, მარტო მარტში ბანდიტებმა დახოცეს 480 სალვადორელი, რომლებზეც ეჭვი მიიტანეს, რომ სიმპათიით იყვნენ განწყობილი ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტისადმი.

სურათზე: სალვადორის დედაქალაქში გამართული დემონსტრაციის მონაწილენი მოითხოვენ ცნობებს თავიანთი „უგზო-უკვლოდ დაკარგული" ნათესავების შესახებ.

მზადება ახალი ავანტიურებისათვის

ბეირუთი. ისრაელის მხედრიონი ლიბანში ახალი სამხედრო ავანტიურებისათვის ემზადება. ისრაელთა ტანკების კოლონები მიემართებიან ლიბანის ბეკაას ველის მიმართულებით, ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალთა საბრძოლო თვითმფრინავებმა გააქტიურეს პროვოკაციული სადაზვერვო ფრენა, სატრანსპორტო ვერტმფრენებსა და სამხედრო სატვირთო ავტომობილებს ბეკააში გადაჰყავთ დამატებითი ქვედანაყოფები. ოკუპანტთა ჯარების ყველაზე ინტენსიური თავმოყრა აღინიშნება დასახლებული პუნქტების რაშეიას, ჰაიისა და ქამედ ელ-ლოზის რაიონებში. ბეკაას ხეობაში აგრესორებმა მოაწყვეს მორიგი წვრთნა ჯავშნოსატანკო ტექნიკისა და მძიმე არტილერიის მონაწილეობით, იუწყება გაზეთი „ას-საფირი".

კვლავ დაძაბული ვითარებაა ლიბანის დედაქალაქშიც, არ იცავენ შეთანხმებას მოწინააღმდეგე დაჯგუფებებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ცეცხლს უშენენ ბეირუთის საცხოვრებელ უბნებს.

თუმცა რამდენიმე დღის წინათ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ შეიქმნა ახალი მთავრობა, დღემდე გარკვეული არ არის, შეძლებს თუ არა იგი დიდხანს იარსებოს ამჟამინდელი შემადგენლობით. შიიტთა მოძრაობის „ამალის" ლიდერმა ნ. ბერიმ კვლავ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება მონაწილეობა არ მიიღოს მთავრობაში, სანამ არ შეიქმნება ისრაელის მიერ ოკუპირებული სამხრეთ ლიბანის განთავისუფლების საქმეთა სამინისტრო და დანგრეული რაიონების აღდგენის საკითხთა სამინისტრო. პროგრესულ-სოციალისტური პარტიის ლიდერმა ვ. ჯუმბლატმა მხარი დაუჭირა ნ. ბერის მოთხოვნებს და ჯერჯერობით ისიც არ დასთანხმდა მთავრობაში მონაწილეობას. ამჟამად ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს ამ საკითხზე.

ისრაელი დამპყრობლები განაგრძობენ ოკუპირებულ სამხრეთ ლიბანში მშვიდობიანი არაბი მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორისა და რეპრესიების კამპანიას.

ამერიკის საზოგადოებრიობის შეშფოთება

ვაშინგტონი. რეიგანის ადმინისტრაციის მისწრაფება, რომ დედამიწისმახლობელი კოსმოსური სივრცე შეიარაღებული კონფრონტაციის ასპარეზად გადააქციოს, ამერიკის საზოგადოებრიობის, კერძოდ, კაპიტოლიუმის ბორცვზე ზოგიერთი სხლდ მოაზროვნე მოღვაწის დიდ შეშფოთებას იწვევს.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა მ. ლევაინმა თეთრ სახლს მოსთხოვა დაუყოვნებლივ აიღოს ხელი კოსმოსის მილიტარიზაციის პროგრამებზე.

ადმინისტრაციის მოქმედება, აღნიშნა კონგრესმენმა, აშკარად მოწმობს, რომ მას არ სურს დაიცვას მთელი რიგი შეთანხმებების, კერძოდ, კოსმოსური სივრცის, მთვარისა და სხვა ციური სხეულების კვლევისა და გამოყენებისათვის სახელმწიფოთა საქმიანობის პრინციპების შესახებ დადებული ხელშეკრულების, აგრეთვე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების ფორმა და შინაარსი. ადმინისტრაცია ისე მოქმედებს, განაცხადა მან, — თითქოს ამერიკის შეერთებულ შტატებს საერთოდ არავითარი ვალდებულება არ ჰქონდეს ნაკი- [illegible]

პრობლემა, ჰიპოთეზა, ფაქტი

ივარჯიშეთ!

აშშ. სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევრები რვა წლის მანძილზე აკვირდებოდნენ ლოს-ანჯელესის 2779 პოლიციელსა და მეხანძრეს. მათ დაადგინეს, რომ ნავარჯიშებ ადამიანებს გულის დაავადება ორჯერ ნაკლებად ემართებათ, ვიდრე იმათ, ვინც არ ვარჯიშობს.

რაც შეეხება თამბაქოს მწეველებს, გულის შეტევები მათ ხუთჯერ უფრო ხშირად მოსდით.

ყავის საიდუმლო

ავსტრალია. ყავა ცნობილი ბიოსტიმულატორია, მაგრამ ჯერაც არ არის ცნობილი, რომელი ნივთიერების წყალობით აქვს ყავას ეს თვისება.

ყველაზე ხშირად ამის მიზეზად კოფეინს ასახელებენ. ავსტრალიელმა მკვლევრებმა ჯ. ხბოუბლიკის ხელმძღვანელობით (პრინც ჰენრის სახელობის საავადმყოფო მელბურნში) ყავაში აღმოაჩინეს უცნობი ქიმიური ნაერთი, რომელსაც მორფინის ანალოგიური მოქმედება აქვს.

სწორედ ამით ხსნიან მეცნიერები ადამიანების მიერ ყავის სმის ადვილი მიჩვევის ფაქტს.

წყალი ჰაერიდან

იაპონია. ფირმა „მიცუბისი ელექტრიკის" ახალმა აპარატმა უკვე გაიარა გამოცდა უდაბნოში და მას „უძირო ჭა" დაარქვეს.

ეს აპარატი დღე-ღამეში ტონანახევარ წყალს შოულობს.

თურმე, უდაბნოს გავარვარებულ ჰაერშიც მოიპოვება ტენიანობის უმცირესი პროცენტი. 1 კილოგრამი ჰაერიდან შეიძლება 20 გრამი წყლის მიღება.

დანადგარის ამუშავებას მხოლოდ ერთი ძრავა სჭირდება.

ალმასები ევროპაში

შვეცია. დღემდე ეგონათ, რომ ევროპის კონტინენტზე ალმასები არ მოიპოვება. შვიდი წლის მანძილზე ეძებდნენ მათ შვედი გეოლოგები, მაგრამ — უშედეგოდ.

პირველი ალმასი აღმოაჩინეს ალნოენის პატარა კუნძულზე შვეციის ჩრდილოეთ სანაპიროზე. იგი მიიღეს 11 ტონა კიმბერლიტის გადამუშავების შემდეგ.

წამლების მიღების წესი

დანია. კოპენჰაგენელმა ექიმებმა საინტერესო ექსპერიმენტი მოაწყვეს: რენტგენის აპარატის მეშვეობით მათ შეისწავლეს, თუ როგორ გადაადგილდება გადაყლაპული აბი საყლაპავ მილში. ამის შედეგად მათ დაასკვნეს, რომ ტაბლეტის კუჭამდე მიღწევის უფრო მეტი საიმედოობისთვის საჭიროა ავადმყოფმა ის ფეხზე მდგომმა მიიღოს და წყალი დააყოლოს. გადაყლაპვის შემდეგ კი სულ ცოტა წუთ-ნახევარი მაინც ფეხზე გაჩერდეს.

ახალი აპკი

სსრ კავშირი. მოსკოვის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პლასტმასის" თანამშრომლებმა შეიმუშავეს ახალი სახეობის აპკი, რომელიც გარეგნულად ჩვეულებრივი ცელოფანისაგან არ განსხვავდება. სამაგიეროდ, მისი მინავანი თვისებები უნიკალურია: იგი 200 გრადუს სიცივეს და 300 გრადუს სიცხეს უძლებს. 40-60 მიკრონის სისქის ნაჭერს რამდენიმე ათეული კილოგრამი ტვირთი ვერ აზიანებს.

გარდა ამისა, ახალ მასალას არ „აშინებს" ულტრაიისფერი გამოსხივების, ცეცხლისა და ორგანული გამხსნელების მოქმედება.

კაცი — იზოლატორი

ბულგარეთი. ქ. გაბროვოს ექიმები ფენომენალურ შემთხვევას წააწყდნენ: აღმოჩნდა, რომ ამ ქალაქის ელექტრიკოსი გ. ივანოვი უხელთათმანოდ, შიშველი ხელებით აერთებს კაბელს, რომელშიც 380 ვოლტი ძაბვის დენი გადის. როგორც ცნობილია, ასეთი ძაბვის დენი ჩვეულებრივი ადამიანისთვის სასიკვდილოა.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ გ. ივანოვის სხეულის ელექტრული წინააღმდეგობა 8-ჯერ მეტია, ვიდრე სხვა ადამიანებისა.

ელექტრიკოსი უკვე 80 წლისაა, მაგრამ ჯერ ისევ მუშაობს.

მეცნიერები ეძებენ ესოდენ უჩვეულო მოვლენის მიზეზს.

უდიდესი სატვირთო მანქანა

იტალია. ფირმა „კომეტომ" დაიწყო მსოფლიოში ყველაზე დიდი საზიდრულის გამოშვება. მისი ტვირთამწეობა 1800 ტონაა, სატვირთო პლატფორმის ფართობი — 365 კვადრატული მეტრი. როცა მანქანა ცარიელია, იგი საათში 10 კილომეტრს გადის. [illegible] 1500 კილოგრამი [illegible]

ჭადრაკი

თბილისის საერთაშორისო.

ფინიშის სიმწვავე

მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრების მეთერთმეტე ტურის შეხვედრებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს იოსელიანისა და ანგელოვას პარტია. საქმე მარტო ის როდია, რომ ფინიშზე იოსელიანი ზედიზედ ზეიმობს გამარჯვებებს და საპრიზო ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტი გახდა. ამ შეხვედრაში მან ლამაზი კომბინაცია განახორციელა, მეტოქეს ლაზიერი შესწირა ეტლში და აიძულა დანებებოდა.

დიდი შინაგანი სიმძაფრით გამოირჩეოდა მურეშან-ჩიბურდანიძისა და გაფრინდაშვილ-აზმაიპარაშვილი... [illegible] შეხვედრები. მურეშანი ამ ტურნირში ვერ თამაშობს ჩვეული შეუპოვრობით, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონთან, ეტყობა, თავის გამოჩენა გადაწყვიტა. ძველინდურ დაცვაში, რომელიც ჩიბურდანიძემ აირჩია, თეთრებმა ისე განალაგეს თავიანთი ძალები, რომ მათ ვერსაიდან მიუდგებოდი. ჩიბურდანიძე შეეცადა როგორმე გაემწვავებინა ბრძოლა, მაგრამ მურეშანი ცვლიდა ფიგურებს და... ადგილიდან არ იძვროდა. პარტია გადაიდო დაახლოებით თანაბარ ენდშპილში. გაფრინდაშვილმა და ახმილოვსკაიამ გაითამაშეს ლაზიერის გამბიტის ერთ-ერთი ვარიანტი. მდგომარეობის ერთგვარი გამარტივების მიუხედავად, ახმილოვსკაია დიდ სიძნელეებს წააწყდა. თეთრებმა მეტოქის დასუსტებული მეფის ფრთის წინააღმდეგ მთელი თავისი ძალები — ლაზიერი, ეტლი და კუ გადაისროლეს. შეხვედრა შეწყვეტილია პოზიციაში, სადაც გაფრინდაშვილს საგრძნობი უპირატესობა აქვს. შავების ძალები დაქსაქსულია, რაც მსოფლიოს ექსჩემპიონმა უნდა გამოიყენოს კიდეც.

კრამლინგმა თეთრებით ვერ მიიღო ვერავითარი უპირატესობა ლიტინსკაიასთან. შვედი შეეცადა აქტიურად ეთამაშა, მაგრამ ლიტინსკაიამ მარჯვედ აღკვეთა მისი მუქარა. ამასთან კრამლინგი, რომელიც 5 საათის მანძილზე დაფას არ მოშორებია, ჩვეულებისამებრ ბევრს ფიქრობდა და უსასტიკესი ცაიტნოტის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. დაახლოებით თანაბარ პოზიციაში ლვოველმა სვლების განმეორებით მეტოქეს ყაიმი შესთავაზა, რაც, უდავოდ, ამ პარტიის ობიექტური შედეგი იქნებოდა. კრამლინგმა პოზიცია ორგზის გაიმეორა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა მოეგებინათვის ეთამაშა. ეს შეცდომა იყო. [illegible] ათზე ალამი ჩამოუვარდა და წაგება ჩაეთვალა.

თუ შვედი მოჭადრაკე შეჯიბრების მეორე ნახევარში აშკარად შეფერხდა, სულ სხვა უნდა ითქვას ივანკას შესახებ. მან თეთრებით პოზიციური უპირატესობა მიიღო ალექსანდრიასთან. ქართველმა მოჭადრაკემ შუა თამაშში ყაიმი შესთავაზა მეტოქეს, მაგრამ უარი მიიღო. შემდეგ დაახლოებით თანაბარ პოზიციაში უკვე უნგრელმა მოინდომა დაზავება, მაგრამ ახლა ალექსანდრიამ განაგრძო მოგებისათვის თამაში. ბოლოს ეს შეხვედრა მაინც ყაიმით დასრულდა და, როგორც გამოირკვა, ივანკა ტურის ბოლოსათვის უკვე ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ხუგაშვილ-გურიელის პარტიაში დიდხანს მატერიალური წონასწორობა იყო, მაგრამ თანდათან გურიელმა აჯობა მეტოქეს. მან ზედიზედ მოიგო ორი პაიკი და გადადებულ პოზიციაში გამარჯვების შესაძლებლობა აქვს. ახლა გურიელი ერთი იმ შვიდთაგანია, რომელიც საპრიზო ადგილისათვის იბრძვის. უკანასკნელ ტურებში აშკარად დაიღალა ლაზარევიჩი. ვიზესთან დაახლოებით თანაბარ პოზიციაში მან მძიმე შეცდომები მოუვიდა, უფიგუროდ დარჩა და შეწყვეტა წინააღმდეგობა. ეს იუგოსლავი დიდოსტატის ზედიზედ მესამე დამარცხებაა.

გუშინ დილით გადადებული პარტიების დამთავრებისას იოსელიანმა მოუგო ახმილოვსკაიას, გურიელმა — ხუგაშვილს. დანარჩენი პარტიები კვლავ გადაიდო.

მეთორმეტე ტურში გაფრინდაშვილმა მოუგო მურეშანს, ალექსანდრიამ — ვიზეს. ლიტინსკაია-იოსელიანის, ჩიბურდანიძე-ხუგაშვილისა და გურიელ-ივანკას პარტიები ყაიმით დამთავრდა. ორი პარტია გადაიდო.

12 ტურის შემდეგ იოსელიანსა და ივანკას 7,5-7,5 ქულა აქვთ. გურიელმა 7 ქულა მოაგროვა, გაფრინდაშვილსა და ჩიბურდანიძეს 6,5-6,5 ქულა და 2-2 გადადებული პარტია აქვთ.

დღეს მთავრდება უკანასკნელი ტურის წინ გადადებული პარტიები.

გ. გამრეკელი.

სატურნირო ორბიტა

ქიუდო. ბელგიის ქალაქ ლიეჟში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის სტარტზე საბჭოთა სპორტსმენებმა უძლიერესთა შორის გზა ვერ გაიკაფეს. მძიმე წონაში (95 კგ-ზე მეტი) მოსკოველმა ალექსი ტიურინმა ბულგარელ დ. ზაპრიანოვთან ერთად მეხუთე-მეექვსე ადგილები გაიყო, ქვემძიმე (95 კგ-მდე) წონაში კი ჩვენი თანამემამულე მალხაზ ბერეჟიშვილი საეჭვო ექსპერტების მიღმა დარჩა. იგი მეორე წრეში დამარცხდა რუმინელ ნაფტიკესთან. მძიმე წონაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ა. ფონ დერ გროობენი (გფრ), 2. დ. პუფელი (გდრ), 3. ვ. კოცმანი (ჩეხოსლოვაკია) და ვ. ვილჰელმი (პოლონეთი); ქვემძიმე წონაში — 1. გ. ნოირიოტერი (გფრ), 2. რ. ვან დე ვალე (ბელგია), 3. რ. ვაშონი (საფრანგეთი) და რ. კოსტენბერგერი (ავსტრია).

ჭადრაკი. ლონდონში გრძელდება ვაჟთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება. შვიდი ტურის შემდეგ ა. კარპოვსა და ლ. პოლუგაევსკის 5,5-5,5 ქულა ჰქონდათ, მ. ჩანდლერს (ინგლისი) და ი. სეირავანს (აშშ) — 5-5, რ. ვაჰანიანს და ი. ტიმანს (ჰოლანდია) — 4-4.

კალათბურთი. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა ესპანეთის ქალაქ პუერტო-რეალში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა. ჩვენმა სპორტსმენებმა გადამწყვეტი მატჩი მოუგეს მასპინძლებს — 85:76.

მშვილდოსნობა. ტალდი-კურგანში დამთავრდა საკავშირო პირველობა 17 წლისა და უფრო ნაკლები ასაკის მშვილდოსანთა შორის. გოგონათა შორის უძლიერესი გახლდათ ხარკოველი ო. გაბელკოვა — 2405 ქულა. **წარმატებით იასპარეზა 15 წლის თბილისელმა ირინე გრებენიკოვამ. მან 2394 ქულით მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.** ჭაბუკებს შორის პირველობას დაეუფლა ნოვოკუზნეცკელი ვ. პავლოვი — 2396 ქულა.

ფეხბურთი. მოეწყო საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალის მონაწილე გუნდების წილისყრა. 6 ივნისს „ზენიტი" უმასპინძლებს „ფაკელს", მეორე წყვილის — მინსკელ და მოსკოველ დინამოელთა მატჩში მასპინძლები ბელორუსი ფეხბურთელები იქნებიან. ამ მატჩის თარიღი მოგვიანებით გამოცხადდება. ფინალური მატჩი მოეწყობა მოსკოვში 24 ივნისს.

შემთხვევა

ირემი — სოფლის სტუმარი

ამ გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხიდარს ფურირემი ეწვია, მაგრამ.... ძაღლების ყეფამ დააფრთხო და მინდვრად მობილაზე ნახირში გაერია.

ეს ამბავი მწყემსებმა ორჯონიკიძის რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობის ეგერს ნ. ბერიძეს შეატყობინეს.

ნადირმა ირემი შეათვალიერა, რაკი გარეგნულად არაფერი უჭირდა, ტყეში გაუშვა.

გავიდა სამი დღე, და ირემი კვლავ გამოჩნდა სოფლად, თანაც იმავე დროს — დილის 10 საათზე. ამჯერად არსაიდან ისმოდა ძაღლების ყეფა, მაგრამ ნადირმა მისთვის ნაცნობ ადგილს მიაშურა და კვლავ ნახირში გაერია.

ამჯერად ბავშვები მწყემსავდნენ საქონელს, ისინი გარს შემოეხვივნენ ირემს და მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. არც ცნობისმოყვარე ნადირი გაურბოდა პატარებს. და ისინიც ისე გაუთამამდნენ, ერთმა პურის ნატეხიც კი გაუწოდა...

ირემი არა და არ შორდებოდა საქონელს. როცა მოსაღამოვდა, ბავშვებმა იფიქრეს, ვინმემ არაფერიავნოსო, და მონადირეებს ჯ. გლუნჩაძესა და ნ. ბერიძეს გაანდეს თავიანთი საიდუმლო.

მონადირეებმა თან იგივე ეგერი ნ. ბერიძეც გაიყოლიეს, რომელმაც მაშინვე იცნო წინათ ნანახი ტყის ბინადარი, რომლის ირგვლივაც მალე თითქმის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. ირემი კვლავ ტყეში მიაცილეს.

საინტერესოა, კიდევ თუ ეწვევა ირემი სოფელს? — ეტყობა, რაღაც უჭირსო, — ამბობენ სოფლელები, — და თუ გამოჩნდა, ამჯერად მეტ გულისხმიერებას გამოვიჩენთო.

გ. გუთხუზი, ლ. სახვაძე.

მოსკოვი

ახალი ამბები. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმი. 20.00 — „თქვენთვის, ვეტერანებო". მუსიკალური გადაცემა. 21.00 — მოგზაურთა კლუბი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — [illegible]

ჩვენი ტელეეკრანი

[illegible] ჩვენი კორესპონდენტები. 16.15 — გამოჩენილი საბჭოთა შემსრულებლები — ლენინური პრემიის ლაურეატები. [illegible]

[illegible] ბოსნობა. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „იყავ მხიარული". III სერია.

თბილისი

[illegible]

თეატრი

[illegible]

რედაქტორი [illegible]

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 [illegible]